ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 27 ივლისის სხდომის

ოქმი N11

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი **N** 11

ქ. ხონი

27 ივლისი, **2022** წელი
12:00 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: კობა კუბლაშვილი.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: არჩილ საღარაძე.
საკრებულოს წევრები:
ზურაბ მიქაძე
ზაზა რუხაძე
გურამ ბახტაძე
დემურ სულაბერიძე
ზაზა ვაშაკიძე
ბაჩანა ბასილაია
მაკა ტაბიძე
ამირან კაშია
ია სულუხია
ნინო კუხალაშვილი
ვახტანგ ვაჭარაძე
ლევან ჯიმშელეიშვილი
ზვიად ჩიმაკაძე
ვახტანგ ბალავაძე
მაია სულაბერიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

- ამირან კინწურაშვილი ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი.
- მაია კალანდაძე ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

   მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი

2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: მაია კალანდაძე

4. „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირების ა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ “.

   მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ამირან კინწურაშვილმა ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ამირან კინწურაშვილმა ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა. სხდომის თავჯდომარემ ვალერი ბახტაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში დაემატოს ერთი საშტატო ერთეული „ქალაქ ხონის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“ და აღნიშნული ცვლილებით შესთავაზა საკრებულოს წევრებს საკითხის კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო მაია კალანდაძემ ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის განყოფილების უფროსმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

4. „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ვალერი ბახტაძემ - საკრებულოს თავმჯდომარემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებულ იქნა 4 განკარგულება და 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: შორენა ჩანქსელიანი